

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ³“ ქვეპუნქტი:

„თ³) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საავტომობილო ტრანსპორტის დარგში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესრულების ზედამხედველობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

30 ნოემბერი 2023 წ.

№3798-XIIIმს-ამპ

